განახლებულია 01.05.2026

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგია/Classical Archaeology of Black Sea and Caucasus**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**პირველი ნაწილი** არქეოლოგიის მაგისტრი/Master of Archaeology **მეორე ნაწილი** კვლევის მაგისტრი არქეოლოგიაში/ Master of Research (MRes) in Archaeology
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	მერაბ ხალვაში, პროფესორი, ელ. ფოსტა: m.khalvashi@bsu.edu.ge ემზარ კახიძე, პროფესორი, ელ.ფოსტა: emzar.kakhidze@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTSმოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	**პირველი ნაწილი** 60 ECTS **მეორე ნაწილი** 60 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**პირველი ნაწილი** ✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: ინგლისური ენა - B2 დონე და სპეციალობა; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. **მეორე ნაწილი** ✓ პროგრამის I ნაწილის დასრულება; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და უცხოური განათლების მქონე პირთა ჩარიცხვა საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს რეგულაციების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**პირველი ნაწილი** ✓ შეიქმნას თეორიული და პრაქტიკული ბაზა კავკასიისა და შავიზღვისპირეთის არქეოლოგიის ძირითად საკითხებში; ✓ სამეცნიერო ფონდებში, ლაბორატორიებში და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საველე პირობებში, მიღებული თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენებით, დაამუშაოს ახლადაღმოჩენილი თუ უკვე არსებული არქეოლოგიური მასალა, განსაზღვროს მათი ქრონოლოგიური, ტიპოლოგიური და ფუნქციური თავისებურებები, მოახერხოს სხვაგან აღმოჩენილ ანალოგიურ თუ მსგავს მასალასთან შედარება და ინტერპრეტაცია; ✓ შეიძინოს მეზობელ რეგიონების კულტურაზე ღრმა და სისტემური ცოდნა, გაიაზროს ვრცელ რეგიონში ქართველური სამყაროს კულტურულ-ცივილიზაციური პოზიციონირების პარადიგმები, შეეძლოს პროფესიული, ეთიკური და მსოფმხედველობრივი (ინტერკულტურული) პრინციპების დაცვა და გავრცელება. **მეორე ნაწილი**: ✓ კურსის დასრულების შემდეგ დამოუკიდებლად შეძლოს კავკასიისა და შავიზღვისპირეთის ყველა ფუნდამენტური კულტურის აღქმა, ინტერპრეტაცია, ორიგინალური საკვლევი თემების განსაზღვრა, საკუთრივ კვლევების წარმოება და მიღებული შედეგების გააზრება; ✓ მოახერხოს ემპირიული და თეორიული მასალის ურთიერთდაკავშირება, ველზე თუ კვლევის სხვა ობიექტზე წამოჭრილი ახალი და რთული პრობლემების გაცნობიერება, ანალიზი, მათი გადაჭრის სტრატეგიის დაგეგმვა და სწორი დასკვნის გაკეთება; ✓ შეიძინოს მეზობელ რეგიონების კულტურაზე ღრმა და სისტემური ცოდნა, გაიაზროს ვრცელ რეგიონში ქართველური სამყაროს კულტურულ-ცივილიზაციური პოზიციონირების პარადიგმები, შეეძლოს პროფესიული, ეთიკური და მსოფმხედველობრივი (ინტერკულტურული) პრინციპების დაცვა და გავრცელება.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი	**პირველი ნაწილი** ✓ **ახდენს** არქეოლოგიის დარგის ღრმა და სისტემური ცოდნის **დემონსტრირებას**; ✓ კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა ასპექტის შესწავლისას, მატერიალური კულტურის ძეგლების მეშვეობით **განსაზღვრავს** არქეოლოგიური მეცნიერების ძირითად ცნებებს და პრინციპებს; ✓ **ახდენს** მიღებული ცოდნის **ინტერპრეტირებას** სოციალური, კულტურული, ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით; ✓ საბიბლიოთეკო რესურსებისა და სამეცნიერო ბაზების გამოყენებით **მოიძიებს** სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას, **იყენებს** მათ არქეოლოგიური მასალის ანალიზისთვის, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; ✓ **ახდენს** მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ტიპოლოგიურ და ქრონოლოგიურ **კლასიფიკაციას, განსაზღვრავს** მათ კულტურულ კუთვნილებას და **აკავშირებს** ანალოგიურ მასალასთან; ✓ **ხელმძღვანელობს** არქეოლოგიაში დამკვიდრებულ პროფესიული ეთიკის სტანდარტებით, სამართლებრივი რეგულაციებით, აკადემიური კეთილსინდისიერების, პროფესიული პატიოსნებისა და ობიექტურობის პრინციპებით; ✓ **ადაპტირდება** მულტიდისციპლინურ გარემოში და **ავლენს** თანამშრომლობის უნარს, სწავლისა და მუშაობისას **ახდენს** თვითორგანიზების, დროის ეფექტიანი მართვის, ინიციატივისა და პასუხისმგებლიანი დამოკიდებულების **დემონსტრირებას**. **მეორე ნაწილი** ✓ **ახდენს** არქეოლოგიის დარგის ღრმა და სისტემური ცოდნის **დემონსტრირებას**, მათ შორის თანამედროვე არქეოლოგიური კვლევების დროს გამოყენებული ძირითადი მეთოდებისა და კონცეფციების შესახებ; ✓ **აცნობიერებს** არქეოლოგიის მნიშვნელობას, ისტორიული წარსულის ამსახველი მასალების მოძიების/გამოვლენის, გათხრის, კვლევის და მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის საქმეში; მატერიალური კულტურის ძეგლების მეშვეობით კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა ასპექტის შესწავლისას, **გამოკვეთს** არქეოლოგიის თანამედროვე გამოწვევებს და **დასახავს** მათი გადაჭრის გზებს; ✓ **იყენებს** დარგისთვის სპეციფიურ უნარებს არქეოლოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და სტანდარტების შესაბამისად (არქეოლოგიური ძეგლის დაზვერვა, გათხრა, კულტურული ფენების

	გამოვლენა, არქეოლოგიური ძეგლებისა და არტეფაქტების აღმოჩენა, აღწერა, გაზომვა, სინჯების შეგროვება, პასპორტიზაცია, დახარისხება, ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია, ამა თუ იმ გეოდეზიური ხელსაწყოს ან გეო-საინფორმაციო სისტემის გამოყენება, შეფუთვა, დაბინავება, ძეგლის არქივის შექმნა.); ✓ **ქმნის** კვლევით ნაშრომს/პროექტს; დამოუკიდებლად ან ხელმძღვანელის დახმარებით **ახდენს** საკვლევი პრობლემის **იდენტიფიცირებას**, ნაშრომზე მუშაობისას **იყენებს** დარგში აპრობირებულ კვლევის მეთოდოლოგიას, კვლევის შედეგებს **წარუდგენს** აკადემიურ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით, მშობლიურ და/ან უცხო ენაზე; ✓ **ხელმძღვანელობს** არქეოლოგიაში დამკვიდრებულ პროფესიული ეთიკის სტანდარტებით, სამართლებრივი რეგულაციებით, აკადემიური კეთილსინდისიერების, პროფესიული პატიოსნებისა და ობიექტურობის პრინციპებით. ✓ **მონაწილეობს** - პროფესიული ღირებულებების განვითარება-დამკვიდრებაში და წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში; **ახდენს** თვითორგანიზების, დროის ეფექტიანი მართვის, ინიციატივისა და პასუხისმგებლიანი დამოკიდებულების **დემონსტრირებას.**